Sermon 11.04.2021 - (georgian)

ბოროტი სული და მისი მზაკვრობა
(11|04|2021)

ერთ-ერთი მთავარი დიდი მარხვის ღვთისმსახურების, თემისა რომელსაც მოცემულ დროს გავდივართ, ისეთები როგორებიცაა საღამოს ლოცვა, ძღვენის განწმენდის ლიტურღია, სახარების კითხვა, ძირითადად დღევანდელი, წარმოადგენს სწრაფვას ვიპოვოთ ღმერთთან ბოროტი სულის მზაკვრობისაგან დაცვა. ლოცვაში, რომელიც ცნობილია როგორც ,,უფლის ლოცვა",ბოძებული ჩვენთვის მაგალითად, ღმერთი მოგვიწოდებს შევთხოვოთ ზეციურ მამას დაგვიფაროს ჩვენ ბოროტისაგან (მათე 6,13). ყველა ჩვენგანს აქვს საჭიროება ეშმაკისაგან დასაცავად, რამდენადაც თავად არ შეგვიძლია ვებრძოლოთ მას.

როგორც ვიცით, თავდაპირველად ეშმაკს ლუციფერი ერქვა, რაც ნიშნავს ,,ნათლისმატარებელი." უფალმა შექმნა ბრწყინვალე მთავარანგელოზი, მებრძოლი ცხრა მთავარანგელოზთა დასიდან. სამწუხაროდ, დაემორჩილა რა საკუთარ ეგოიზმს, იგი ამხედრდა თავის ანგელოზებთან ერთად ღმერთის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ისინი მიწაზე ჩამოცვივდნენ, გაწყვიტეს ურთიერთობა შემქმნელთან და ბოროტ დემონებად გადაიქცნენ. გახდა რა ღმერთის მტერი, ეშმაკი საწინააღმდეგოთ განეწყო მისი ქმნილების-ადამიანის მიმართაც. შეშურდა რა ადამიანის ბედნიერებისა, მან შესძლო თავისი ეშმაკური ხრიკებით განედევნა იგი სამოთხიდან. ეს ბრძოლა უფლის მიერ შექმნილი ადამიანის წინააღმდეგ დღესაც არ წყდება. განუწყვეტლივ ცდილობს ხელი შეუშალოს ადამიანის ღმერთთან ურთიერთობას, იგი წმ.წერილში ხასიათდება როგორც ,,კაცის- მკვლელი" (ინ.8,44), ცარიელი, ეშმაკი, სატანა.

ცდილობს რა მიზანს მიაღწიოს, ეშმაკი ადამიანის გონებას სხვადასხვა ცდუნებას უვლენს, რათა ცოდვაში ჩაითრიოს და ღმერთს დააშოროს. ზოგჯერ ეს ცდუნებები შეიძლება განსაკუთრებით ძლიერი იყოს. მოციქული პავლე მათ ,,ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად" უწოდებს (ეფ. 6,16). ზოგჯერ, როგორც წერს პავლე მოციქული ,,წინა მოსაჯული თქუენი" ეშმაკი, ვითარცა ლომი მყვირალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა (1 პედ.5,8). ზოგჯერ კი ეშმაკი იღებს სუსტი, უსუსური ჭიანჭველის სახეს, ცდილობს გვიჩვენოს ცთუნება, როგორც რაიმე უმნიშვნელო და უბოროტო რა ზიანის მოტანა შეუძლია ჭიანჭველას? მაგრამ საკმარისია ადამიანი ჩავარდეს ცდუნებაში, რომ იმ წამსვე ეშმაკი ლომად გადაიქცევა, ხოლო ცოდვა, ადამიანის მიერ ჩადენილი, გამოვლინდება როგორც მძიმე და მიუტევებელი, სასოწარკვეთილებაში და მწუხარებაში ჩამგდებელი. ამიტომ უწოდებენ ეშმაკს ეკლესიის მამები ,,მყვირა ლომს" (იობ.4,11).

ზოგჯერ ეშმაკი, თითქოს და მხატვარი, გვიფერადებს ცოდვას ნათელ და მიმზიდველ ფერებად, რათა დაარწმუნოს ადამიანი მის ჩადენაში. სხვა ხერხი, რომელსაც ხშირად მიმართავს ეშმაკი, არის ის რომ არწმუნებს ადამიანს არ შერცხვეს ცოდვის-ეს იმის ილუზიაა, რომ ჩადენილი საიდუმლოდ დარჩეს. თუმცა შემდეგ ეშმაკი ყველაფერს აკეთებს, რათა ბოროტი საიდუმლო გაცხადდეს და

ადამიანი საზოგადოების წინაშე შერცხვენილი წარდგეს. გაიხსენეთ ის სკანდალური ამბები, რომელიც ცნობილი ადამიანების ცხოვრებაში ხდება.

სხვა მზაკვრობაზე ბოროტი სულისა მოციქული პავლე გვამცნობს: ,,თვით იგიცა ეშმაკი იცვალვისვე ანგელოზთა ნათლისა" (2 კორ.11,14). როგორც ჩვენ ვხედავთ, ეშმაკის სითავხედეს არ აქვს საზღვარი. მან ხომ თავად ქრისტეს ცთუნებაც სცადა, თაყვანისცემა რომ სთხოვა მას (მათე 4,9).

თავისი აქტიური ბრძოლა ადამიანთან ეშმაკი ცდილობს საიდუმლოდ განახორციელს, რომ არ გასცეს თავი, ოსტატურად ინიღბება სიცრუით. მას გამოსდის აიძულოს ადამიანები არ დაიჯერონ საკუთარი არსებობა და აღიქვან იგი როგორც რისიმე ბობოქარი წარმოსახვის ნაყოფი, ეშმაკი მზადაა ნებისმიერ უკანონობაზე და ტყუილზე წავიდეს (2 თეს.2,10). თავად უფალი გვაფრთხილებს ჩვენ: ,,რამეთუ მტყუვარ არს, და რამეთუ მამაცა მისი მტყუვარი არს" (ინ.8,43).

ყველაფერი ზემოთნათქვამი გვიჩვენებს ეშმაკის საშიშროებას და მის სწრაფვას მსოფლიოს დაპყრობისა. თუმცა-ღა უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ძალაუფლება უსაზღვრო და მარადიული არაა. მოვა დღე, როდესაც იგი საბოლოოდ დაკარგავს ძალას და ყველა თავის ბოროტ ძალებთან ერთად საბოლოოდ განდევნილი იქნება უფლის მიერ (იხ.2 პეტ.2,3 გამოცხ.20 10).

ქრისტეს გამარჯვება ეშმაკზე ხომ უკვე დაწყებულია ქრისტე არ წამოეგო მის ცდუნებებს (მათე 4,1-11) და ადამიანებთან ურთიერთობაში ეჯახებოდა რა მის მზაკვრობებს, ყოველ ჯერზე ამარცხებდა მას. ამის სახასიათო მაგალითია ეშმაკისეული ახალგაზრდა ყრმის განკურნება, რომელზეც მოგვითხრობს დღევანდელი სახარება (მარკ.9,25-27). და ბოლოს, უფალმა განგმირა ეშმაკი თავის ჯვარზეცმით (კოლ.2,15). უფრო მეტიც, სწორედ ეს იყო მიზანი ქრისტეს ამ სოფლის მოსვლისა: ,,ამისთვის გამოცხადნა ძე ღვთისა, რათა დაარღვინეს საქმენი ეშმაკისანი" (1 იოან.3,8).

მაგრამ რას ნიშნავს ყველაფერი ეს ჩვენთვის? ის, რომ ქრისტესთან ერთობაში ყოფნისას, ჩვენ არაფრის შიში არ გვაქვს როგორც წერს ითანე ოქროპირი, ვეზიარებით რა ქრისტეს ხორცსა და სისხლს, ჩვენ გამოვდივართ ტაძრიდან ძლიერები, როგორც ლომები, ვთრგუნავთ ცეცხლს და ეშმაკისათვის მიუწვდომელი ვხდებით.

დღევანდელ წაკითხულ სახარებაში უფალმა გვიჩვენა ჩვენ და სხვა ორი ძლიერი იარაღი ბოროტის საწინააღმდეგო: ,,ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსვლად, გარნა ლოცვითა და მარხვითა" (მარკ.9,29) .მოდით და ამ წმინდა დღეებში გულმოდგინეთ ვილოცოთ და ვიმარხულოთ, რათა განძვლიერდეთ კაცისმკვლელ ეშმაკის თავდასხმებისაგან წინააღმდეგ ყოველდღიურ ბრძოლაში.

ამინ.